ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. დეკემბრის 30. № 34 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

210. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

211. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის სფეროში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

112. 1936 წლის იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ.

213. საკურორტო ტყეების დებულების შეტანის შესახებ.

214. კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დებულების მე-4 მუხლის დამატების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

215. „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებასა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა, შენახვასა და გაყიდვასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის გაუქმების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

216. სახანძრო წესების დარღვევისათვის დასადები ჯარიმის შესახებ.

შრომა.

217. შვიდსაათიან სამუშაო დღეზე საწარმოთა გადაყვანის წესის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

218. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მრეწველობა

210. დადგენილება ს.კ.ს.

ეროვ. 1147-2-9

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მერქნის ლპობასთან ბრძოლის საქმისათვის (კერძოდ—სახლის სოკოსთან საბრძოლველად) ხელმძღვანელობის გასაწევად და ამ სფეროში ცალკეული უწყებების, საშენებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის გასაერთიანებლად და შესათანხმებლად მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი.

აღნიშნული კომიტეტი მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით და შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შედგენილობით: ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსი, გზატკეცილების, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსი, ტფილისის საქალაქო საბჭოსი, „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტისა, „ა/კმშენისა“, მთავრობის სახლის მშენებლობის სამუშაოთა სამმართველოსი, „ექსპორტლესის“ ამიერკავკასიის კონტორისა, „საქმომარაგებაგასაღებისა“, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამშენებლო საბინაო განყოფილებისა „თავდაცვა-ავიაქიმის“ საქართველოს საზოგადოებისა, ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტისა, სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტისა და მშენებელთა სამეცნიერო-საინჟენერო-სატექნიკო საზოგადოებისა.

კომიტეტის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

2. მიენდოს ზემოაღნიშნულ კომიტეტს—შეიმუშაოს და წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამ კომიტეტის დებულების პროექტი.

3. 1936 წლიდან მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის აპარატის შენახვა და მის მიერ განსახორციელებელ სამეცნიერო-საკვლევო ხასიათის ღონისძიებათა დაფინანსება მიეკუთვნოს იმ სპეციალურ სახსარს, რაც შესდგება რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ობიექტების კაპიტალდაბანდებათა თანხების პროცენტული ანარიცხებისაგან.

მიენდოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალ-

ხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა აღნიშნული სპეციალური სა-ხსრის შედგენის, შენახვისა და გამოყენების წესის შასახებ და აგრეთვე განსა-ზღვროს 1936 წლის კაპიტალდაბანდებათა ანარიცხების პროცენტი, რამაც უნდა უზრუნველყოს კომიტეტის მიერ პროექტირებულ ღონისძიებათა დაფინანსება.

4. გაცემულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სარე-ზერვო ფონდიდან სამი ათასი მანეთი აღნიშნული კომიტეტის შესანახად 1935 წლის განმავლობაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ი. მებუკე.**

1935 წ. ნოემბრის 10. № 1538.

ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

211. დადგენილება ს.კ.ს.

160

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის სფეროში მუშაობის გაუმჯობესე-ბის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს მასური გამო-მგონებლობის თვალსაჩინო წინსვლას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში (საჩაიო მეურნეობის სისტემაში, საქართველოს სსრ ადგი-ლობრივი მრეწველობის სახალხო კომისირიატის მანქანათმშენებლობის ქარხ-ნებში და სხვ.).

მაგრამ, ამ მიღწევებთან ერთად, მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებში მასური გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმე ჯერ კიდევ დაყენებუ-ლია არადამაკმაყოფილებლად, და აღსანიშნავია მთელი რიგი დიდი ნაკლოვანე-ბანი, მაგალითად: ა) გამოყოფილი არ არიან საგამომგონებლო მუშაობის დაყე-ნებისათვის პასუხისმგებელი პირნი („მანქრემტრესტი", „სახავტრემქარხანა" № 8, წიგნის სასახლის მშენებლობა); ამ სამუშაოს ხელმძღვანელობა მინდობილი აქვთ გამომგონებელთა საზოგადოების საქარხნო საბჭოებს (გაზ. „კომუნისტის" სტამ-ბა, პურის ქარხანა № 1, სარადიო-სატელეგრაფო ქარხანა და სხვ.); ბ) ბევრ საწარმოში და განსაკუთრებით სახალხო კომისირიატებსა და ტრესტებში ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის აღრი-ცხვა და ანგარიშგება, არ არსებობს თემატიკური გეგმები; გ) არის საბჭოთა კა-ნონმდებლობის დამახინჯების შემთხვევები გამომგონებლობის სფეროში, განსა-კუთრებით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დამხმარე ფონდის ხარჯ-ვაში, რაც გამოიხატება ამ ფონდების ცენტრალიზაციით („საქართველოს ჩაის" სრულიად საკავშირო ტრესტი, „სამტრესტი"), ან ამავე ფონდების სრული უქონ-

ლობით („ლიმპანტრესტი“, „საქართველოს რამი“) ანდა გამომგონებლობის ფონდების არადანიშნულებისამებრ ხარჯვით, სახელდობრ: კაპიტალურ მშენებლობაზე (ბათომის ნავთის სახდელი ქარხნები), სამუშაო ხელფასის მიცემა (გამომგონებელთა საზოგადოების საქარხნო საბჭოს თავმჯდომარისათვის—ამხ. კალინინის სახელობის ქარხანაში; პარტიული კომიტეტის ტექნიკური მდივნისათვის—26 კომუნარის სახელობის ქარხანაში), ექსკურსიების ხარჯის გადაცა (ამხ. კალინინის სახელობის ქარხანაში კომკავშირის ორგანიზაციისათვის) გამომგონებლობის გარდამავალი ფონდების მოხსნა) ტფილისის საქალაქო საბჭოს საბალანსო კომისიის მიერ 1933/34 წლებში ტფილისის სასოფლო მრეწველობის ლუდის სახდელი ქარხნების (№ 1 და 2) ფონდების მოხსნა); გამომგონებელთა საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს მიერ ფონდებიდან სახსრის უკანონოდ მიღება განსაზღვრული 10 პროცენტის ზედმეტად, რაც ცალკეულ ორგანიზაციებში 67 პროცენტამდე აღწევს („აფსოფლდამზადება“) და სხვა მისთ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და გამომგონებლობის და რაციონალიზაციის სფეროში მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა. საორგანიზაციო ნაწილი.

1. პასუხისმგებლობა საგამომგონებლო და სარაციონალიზატორო მუშაობის წესიერად დაყენებისათვის დაეკისროს პერსონალურად უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ.

უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა ამ მუშაობისათვის დაეკისროს:

ა) სამეურნეო სახალხო კომისარიატების, შენაერთების, ტრუსტების, კოოპერატიული ცენტრებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირველ მოადგილეებს;

ბ) ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-ს ტრაქტორო სადგურების დირექტორთა პირველ მოადგილეებს (მთავარ ინჟენრებს, ტექნიკურ ხელმძღვანელებს, უფროს აგრონომებს);

გ) დირექტორთა მოადგილეებს (სამეცნიერო ნაწილისათვის) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებში;

დ) საამქროების უფროსებს ან ბრიგადირებს (საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები) საამქროში და ბრიგადაში.

2. ნება დაერთვათ დიდრონი სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთ—გამოყონ თავიანთ დასახმარად, გამომგონებლობის სფეროში პრაქტიკული მუშაობის განხორციელებისათვის, განთავისუფლებული ოპერატიული მომუშავენი (გამომგონებლობის პასუგისმგებელი აღმასრულებელნი) და მათ შესანახად საჭირო ხარჯი დაფარონ აპარატის შინაგანი გარდაქმნით—ისე, რომ არ გაადიდონ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის დადგენილი ლიმიტები.

3. გაფრთხილებულ იქნან ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ხელმძღვანელნი, რომ მათი პირველი მოადგილეებისათვის საგამომგონებლო და სარაციონალიზატორო მუშაობის პრაქტიკული ხელმძღვანელობის დაკისრება არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან მუშაობის ამ დარგში, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

ბ. წინადადებათა მსვლელობის წესი.

4. შემოღებულ იქნას საგამომგონებლო და სარაციონალიზატორო წინადადებათა მსვლელობის შემდეგი წესი:

ა) საამქროს (ბრიგადის) მომუშავეთა მიერ შეტანილი ყველა წინადადება მიიღება საამქროს უფროსის (ბრიგადირის) მიერ; უკეთუ წინადადება, რომელსაც საამქრო (საბრიგადო) ხასიათი აქვს, სასარგებლო წინადადებად იქნა ცნობილი, იგი შთაინერგება წარმოებაში საამქროს უფროსის (ბრიგადირის) პასუხისმგებლობით;

ბ) საერთო-საქარხნო (საბჭოთა მეურნეობის) ხასიათის მქონე წინადადება პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან დარეგისტრების შემდეგ გადაეცემა მთავარ ინჟენერს (უფროს აგრონომს) და, უკეთუ იგი სასარგებლო წინადადებად იქნება ცნობილი, შთაინერგება წარმოებაში მთავარი ინჟენერის (უფროსი აგრონომის) პასუხისმგებლობით;

გ) უკეთუ წინადადებას ქარხნისგარეთული ხასიათი აქვს, მთავარი ინჟენერი (უფროსი აგრანომი) წარმართავს მას სათანადო ორგანიზაციაში—კუთვნილებისამებრ.

5. დაწესებულ იქნას, რომ ყველა წინადადება, რომელიც მოწონებულია და შთანერგვისათვის სასარგებლოდ ცნობილი, პირველ ყოვლისა შთანერგულ უნდა იქნას იმ წარმოებაში, სადაც იგი მიღებულია, და, უკეთუ საამისო შესაძლებლობა არ არსებობს, იგი უნდა გაეგზავნოს იმ სახალხო კომისარიატს, რომელსაც ექვემდებარება ესა თუ ის საწარმო, რეალიზაციისათვის ამ სახალხო კომისარიატის სისტემაში, ან სათანადო ორგანიზაციაში წარმართვისათვის.

6. იმ პირთა გამოსარკვევად, რომელნიც აყოვნებენ წინადადებათა წინწაწევას, და წარმოების უშუალო მეთაურებთან გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის დაყენებისათვის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად საჭიროდ იქნას ცნობილი თითოეული წინადადების ცალკე დამუშავების, გამოცდისა და შთანერგვის საკალენდრო გეგმების შედგენა.

გ. ექსპერტიზა.

7. შემოღებულ იქნას წინადადებათა ექსპერტიზის შემდეგი წესი:

ა) თითოეული მიღებული საამქრო (საბრიგადო) მნიშვნელობის მქონე წინადადება უნდა განიხილოს საამქროს უფროსმა (ბრიგადირმა), რომელიც, ამასთანავე, პასუხისმგებელია ექსპერტიზის აღსრულების ვადებისა და თვით ექსპერტიზის თვისებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უკითუ საამქროს უფროსი (ბრიგადირი) არა სთვლის თავის თავსითვ-კმაო კომპენტენტურ პირად ამ წინადადებისათვის, მას შეუძლია თავისი პასუხისმგებლობით მიანდოს ექსპერტიზა სათანადო სპეციალისტს;

გ) საერთო-...ეარხნო ხასიათის წინადადების შესახებ ექსპერტიზას იძლევა მთავარი ინჟენერი ან, მისი პასუხისმგებლობით, სათანადო სპეციალისტი.

დ. თემატიკური გეგმები და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა.

8. სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების საკითხთა გადაწყვეტის სფეროში სამეცნიერო-საგამომგონებლო აზროვნების წაომართვისა და მეორე ხუთწლედის სახალხო სამეურნეო გეგმების აღსრულებისა და გადამეტებით აღსრულებისათვის ხელისშეწყობის მიზნით საჭიროდ იქნას ცნობილი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის თემატიკური გეგმების შედგენა ადგილობრივ, ხოლო ჯუმლობითი გეგმებისა—სახალხო კომისარიატებში. დაევალოს სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს—წარუდგინონ ჯუმლობითი გეგმები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომგონებლო კომიტეტს—არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 10-ისა.

9. ვინაიდან სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვთ მასური გამომგონებლობისათვის ხელისშეწყობისა და სამეცნიერო ბაზის შექმნის საქმეში, დაევალოს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს—შეიტანონ თავიანთ გეგმებში დიდრონ წინადადებათა დამუშავება და სამეცნიერო დასაბუთება სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო კომიტეტის დავალებით.

სახალხო კომისარიატებმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა და საწარმოებმა თემატიკური გეგმების შედგენის დროს ანგარიშში უნდა მიიღონ ის თემები, რაც საჭიროებს დამატებით სამეცნიერო დამუშავებას და გადასცენ ეს თემები ხელშეკრულების საფუძველზე სათანადო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დამხმარე ფონდების ხარჯით.

10. დაევალოს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს—გაუწიონ ორგანიზაციებს ყოველმხრივი დახმარება თემატიური გეგმების შედგენაში თავიანთი დაგების მიხედვით.

11. ვინაიდან საგამომგონებლო მუშაობის წესიერად დაყენების აუცილებელი პირობა კულტურულად ორგანიზებული ექსპერიმენტალური ბაზაა საწარმოში—ლაბორატორიის, სახელოსნოს და საკონსტრუქტორო ბიუროს სახით, საჭიროდ იქნას ცნობილი სამაგალითო ექსპერიმენტალური ბაზების შექმნა ადგილობრივი მრეწველობისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სისტემაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიენდოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომგონებლო კომიტეტთან ერთად, დაამუშაონ ეს საკითხი და წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1936 წ. იანვრისა.

ე. აღრიცხვა და ანგარიშგება.

12. დაწესდეს, რომ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში სარაციონალიზატორო და საგამომგონებლო წინადადებათა რეგისტრაციისა და აღრიცხვისათვის შემოღებულ უნდა იქნას სავალდებულო წესით აღრიცხვის ერთიანი დავთარი, რაც რეკომენდებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო კომიტეტის მიერ.

13. აღრიცხვის დავთარი უნდა არსებობდეს ყველა საამქროში (უბანში) საერთო საქარხნო (საბჭოთა მეურნეობის) ცალკეულ საღრიცხვო დავთართან ერთად.

14. საამქროს (უბნის) მომუშავეთაგან შემოსული ყველა წინადადება, მისი ხასიათის მიუხედავად, უნდა დარეგისტრდეს საამქრო (საუბნო) საღრიცხვო დავთარში, ცალკე ხელწერილის გაცემით თითოეული წინადადების მიღებას შესახებ.

15. საერთო-საქარხნო ან ქარხნისგარეთული ხასიათის მქონე წინადადება უნდა დარეგისტრდეს საერთო-საქარხნო საღრიცხვო დავთარში, რის შემდეგაც იგი გაეგზავნება სათანადო ზემდგომ ორგანოს, კუთვნილებისამებრ.

16. აღრიცხვის და ანგარიშგების დაყენებისა და თვისებრივი აღსრულებისათვის პერსონალურად პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე ტექნიკური ნაწილისა და მთავარი ბუხჰალტერი.

17. წინადადება მიეცეს სამეურნეო სახალხო კომისარიატებს, სამეურნეო შენაერთებს და კოოპერაციულ ცენტრებს—წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომგონებლო კომიტეტს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის კვარტალური ანგარიშები არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა სათანადო მოხსენებითურთ, რომელიც უნდა გამოხატავდეს ამ მუშაობის ანალიზს.

ვ. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დამხმარე ფონდები.

18. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს, სამეურნეო შენაერთს, ტრესტს და კოოპერაციულ ცენტრს—უზრუნველყოს თავის სისტემაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დამხმარე ფონდების გამოყოფა და წესიერი ხარჯვა—საწარმოო-საფინანსო გეგმის აღსრულებასა და გადამეტებით აღსრულებაში მიღწევათათვის და აგრეთვე გამოგონების, ტექნიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი გაუმჯობესებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის დაპრემიებ-
ბის ფონდების დებულების სრული შესაბამისობით (სსრკ კან. კრ. 1931 წ.
52 №-ი, მუხ. 338).

19. წინადადება მიეცეს ყველა იმ პირს, ვინც ამა დადგენილების თანა-
ხმად პასუხისმგებელია საგამომგონებლო და სარაციონალიზატორო მუშაობის
დაყენებისათვის, დაამთავროს უკვე შთანერგილ და შთასანერგავ წინადადებათა
ეკონომიური ეფექტიების გამოანგარიშება და მისცეს პრემიები წინადადებათა
ავტორებს, არსებული დებულების თანახმად, არა უგვიანეს 1935 წ. დეკემბრის
15-ისა.

20. იმ პირთა სტიმულირებისათვის, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებს
წინადადებათა დამუშავებაში (კონსტრუქციების და ნახაზების დამუშავება, მო-
დელების დამზადება, წინადადებათა სასწრაფო რეალიზაცია და სხვ.), ნება დაე-
რთოთ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთ—დააპრემიონ საწარმოთა და
უწყებათა ცალკეული მომუშავენი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის
ფონდებიდან—ისე-კი, რომ პრემიის რაოდენობა აუცილებლად შეთანხმებულ იქ-
ნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომგონებ-
ლო კომიტეტთან.

21. მიეთითოს ბათომის ნავთსახდელი ქარხნის დირექტორს ამხ. ლენსკის
და მთავარ ინჟენერს ამხ. ზახარენკოს, რომ შეუწყნარებელია გამომგონებლო-
ბისა და რაციონალიზაციის დამხმარე ფონდების კაპიტალურ მშენებლობაზე
ხარჯვა.

საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა გამომგონებლობის ფონდებიდან კაპიტა-
ლურ მშენებლობაზე მიქცეული თანხები გადადებულ იქნას ბათომის ნავთსახდე-
ლი ქარხნის ექსპერიმენტალური სახელოსნოს გაწყობისათვის.

22. დაევალოს სამეურნეო ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელს—პრემია-
თა რაოდენობის განსაზღვრისა და წინადადებათა სასყიდლის საკითხების გამო
აღძრულ საჩივართა გასარჩევად და კონფლიქტთა გადასაწყვეტად მოაწყოს სა-
კონფლიქტო კომისიები, ირომლებიც მოქმედებენ მათ შესახები სპეციალური დე-
ბულების თანახმად.

23. წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურორს—დააწესოს პარტიისა
და მთავრობის დირექტივების აღსრულების სისტემატური მეთვალყურეობა და
შემოწმება გამომგონებლობის სფეროში და აძლიოს სასტიკ პასუხისგებაში ის
მომუშავენი სამეურნეო დარგისა, რომელნიც არ ასრულებენ აღნიშნულ დირექ-
ტივებს, და აგრეთვე წამგლეჯლები და ცრუ გამომგონებლები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1935 წ. დეკემბრის 14. № 1662.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

212. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წლის იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის აღრულების შემოწმებისა და ოთხფეხი საქონლის შესახებ ზედმიწევნითი ცნობების მიღებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო—„1936 წლის იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 4-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 1935 წ. 282 №-ი), ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) ჩაატაროს ნატურად მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სოფლად და ქალაქად (ხევსურეთისა და მთა-თუშეთის გამოკლებით) ცხენების, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, კამეჩების, ღორების, ცხვრების, ვირების, ჯორებისა და აქლემების აღწერა ყველა მეურნეობაში და აგრეთვე საფუტკრე სკების (ოჯახები) ყველა კოლექტიურ მეურნეობაში და სახელმწიფო და კოოპერაციულ მეურნეობაში 1936 წ. იანვრის 1-თვის;

ბ) აღნიშნული აღწერის დამთავრებისას, ჩაატაროს აღწერის ცნობების მასური საკონტროლო შემოწმება; ამასთანავე, შემოწმებით მოცულ უნდა იქნას არა ნაკლებ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების 15 პროცენტისა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად და აგრეთვე ზამთრის საძოვრებზე.

2. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა იმ რაიონებისა, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებზე, სოფლად საქონლის აღრიცხვასთან ერთად, უნდა აღწერონ საქონელი ნატურად ზამთრის საძოვრებზე (შირაქის ველზე, ყიზლარსა, ადერბაიჯანსა, ჭალადიდსა და კუბანში და სხვ.).

3. წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებ- (გურჯაანისა, სიღნაღისა, თელავისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, ტფილისისა, შეთისა, საგარეჯოს, ბაშკიჩეთისა, თიანეთისა, ყაზბეგისა, ჯავისა, ლენინგო-ა, სტალინირისა, ცხაკაიას, მარტვილისა, ზუგდიდისა, ხობისა, წალენჯიხისა, ონწყუს, ბათომისა, ქობულეთისა, ქედისა და სხვა რაიონების)—წარავლი- თავიანთი რაიონების პასუხისმგებელი მომუშავენი და აგრეთვე სასოფლო ჭოების წარმომადგენელნი აღნიშნულ საძოვრებზე უშუალო მონაწილეობის ალებად საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრიგადების მუშაობაში მომთაბარე საქონლის აღწერის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის: მათ უნდა მიეცეს საჭირო საშუალებანი მიმოსვლისათვის და ამომწურავი მასალა გარეკილი საქონლის შესახებ (მეურნეობათა და საძოვართა სიები, გარეკილი საქონლის რაოდენობა და სხვა მისთ.).

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყოს თავისი რწმუნებულებისა (საძოვრების საქმეთათვის) და აგრეთვე საძოვრების გამგეებისა, მინდვრის მცველებისა და მიმაგრებული ზოოპერსონალის უშუალო მონაწილეობა საძოვრებზე აღწერის ჩატარებაში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „ცეკავშირს", მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს და სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მეცხოველეობის მეურნეობანი, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა, კოოპერატიული მეურნეობებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებების მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—დაამთავრონ აღწერის დაწყებამდე ოთხფეხი საქონლის ინვენტარიზაცია 1936 წ. იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით და შეამზადონ ცნობები 1935 წელს გეგმის აღსრულებისა, ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა, მოზარდეულის აღზრდისა და ნახირის (ჯოგის, ფარის) ბრუნვის შესახებ.

5. დაევალოს „ზაგოტსკოტის" სარაიონო კონტორებს—წარუდგინონ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს 1935 წ. დეკემბრის 20-მდე შემოწმებული ცნობები ხორცეულის ჩაბარების გეგმების აღსრულების შესახებ მეურნეობათა ცალკეული კატეგორიებისა და სხვადასხვა საქონლის მიხედვით (სულობით).

6. დაევალოს საქონლის მყოლი სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობების დირექტორებს და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—წარუდგინონ აღწერის რეგისტრატორებს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმებით, ზედმიწევნითი და პირადად მათ მიერ შემოწმებული ცნობები აღნიშნული მეურნეობების კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ 1936 წლის იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით. ამის გარდა, დაევალოს აღნიშნული მეურნეობების დირექტორებს—წარუდგინონ რეგისტრატორებს ცნობები საბჭოთა მეურნეობის (კოოპმეურნეობის) ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების რიცხვისა და მათი კუთვნილი საქონლის შესახებ.

7. ცალკეული რაიონების განსაკუთრებული კლიმატური პირობებისა და ზამთრის პერიოდში კავშირგაბმულობის სიძნელეთა გამო, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—შეუდგეს ვადამდე საქონლის აღწერას შემდეგ რაიონებში: ზემო და ქვემო სვანეთში, აჯაბეგისა, ჯავისა და ლენინგორის რაიონებში, აგრეთვე დუშეთისა და თიანეთის მაღლობ რაიონებში—დეკემბრის 5—10; ახალქალაქისა, ახალციხისა, ბოგდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვკისა, ადიგენისა, ასპინძისა, წალკისა, ალბულახისა, ბაშკიჩეთისა, ზნაურისა, სტალინირისა, ხორაგოულისა, ონისა, ამბროლაურისა, ცაგერისა, წალენჯიხისა, ჩხოროწყუს, ქედისა და ხულოს რაიონებში—არა უგვიანეს დეკემბრის 20-ისა. ამასთან ერთად, ჩაატაროს ვადამდე აღწერა ზემოაღნიშნულ ვადებზე იმ რაიონების ცალკეულ სასოფლო საბჭოებში, სადაც, კლიმატური პირობების მიხედვით, უფრო დაგვიანებით აღწერის ჩატარება საძნელო იქნება.

8. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს—მიიღონ აქტიური მონაწილეობა საქონლის საიანვრო აღწერის ჩატარებაში, პირადი მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიონ აღწერისათვის საჭირო ყველა სამუშაოს, თვით მასალის მიღებას და ჩაბარებასაც-კი; კერძოდ:

ა) გაშალონ მოსახლეობის შორის მასური მუშაობა წინამდგომარე აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის;

ბ) უზრუნველყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანიზაციები აღწერის ჩატარებისათვის ნაცადი და მომზადებული მომუშავეებით საჭირო რაოდენობამდე და ნება დართონ, რათა ამ მიზნით მუშაობაში ჩაბმულ იქნან აგრეთვე მასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტები;

გ) უზრუნველყონ აღწერის მომუშავენი სათანადო საშუალებებით რაიონს შიგნით და ზამთრის საძოვრებზე მიმოსვლისათვის;

დ) მიამაგრონ სასოფლო საბჭოებს აღწერის მთელი დროის განმავლობაში პასუხისმგებელი სარაიონო მომუშავენი აღწერის ჩატარების საქმეში მათთვის კონკრეტული დახმარების გასაწევად.

9. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—აღწერის დამთავრების შემდეგ განიხილონ პრეზიდიუმის სხდომაზე საქონლის აღწერისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის აღსრულების შედეგები; თანაც ზედმიწევნითი ანალიზი გაუკეთონ მეცხოველეობის მდგომარეობას, როგორც მთლად რაიონში, ისე ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებში, და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს მეცხოველეობის შემდგომ ზრდას და განმტკიცებას რაიონში.

საქონლის აღწერის სარაიონო შედეგებს მეცხოველეობის მდგომარეობის ანალიზითურთ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორები ჩააბარებენ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თანდასწრებით, რომელნიც გამოიწვევიან საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორებთან ერთად.

10. აღწერისათვის საქონლის დამალვაში და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის აღსრულების შესახებ არასწორი ცნობების წარდგენაში დამნაშავე პირნი მიიცემიან პასუხისგებაში სისხლ ის სამართლის წესით.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საბჭოს—დაამთავროს აღწერა 1936 წ. თებერვლის 1-თვის და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1936 წ. თებერვლის 15-ისა საქონლის აღწერის და მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის აღსრულების წინასწარი შედეგები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1935 წ. დეკემბრის 13. № 1680.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 288 №-ში 1935 წ. დეკემბრის 14.

---

213. დადგენილება ც.ა.კ.

საკურორტო ტყეების დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. სექტემბრის 10-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში საკურორტო ტყეების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 3/4 №-ი, მუხ. 12) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

I.

მე-6, 7, 12, 16, 17, 26 და 27 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„6. ამ ორი კატეგორიის ტყეები განიყოფება ერთმანეთისაგან ან ბუნებრივი, ან ხელოვნური საზღვრებით".

„7. საკურორტო დაცვის ტყეებში მეურნეობა სწარმოებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული სპეციალური ტყეთმოწყობის გეგმის თანახმად.

საკურორტო ტყეების ექსპლოატაციით მიღებული შემოსავალი (სამორე სასყიდელი, საურავი, ტყის არაპირდაპირი სარგებლობით მიღებული შემოსავალი) შედის მთავარი საკურორტო სამმართველოს სალაროში და იხარჯება სატყეო მრეწველობაზე, ხოლო ზედმეტი შემოსავალი ჰბარდება სახელმწიფო ბიუჯეტს.

შენიშვნა. სატყეო წესების დარღვევისათვის გადახდევინებული ჯარიმა მთლად მიიქცევა საერთო-საკავშირო ბიუჯეტში".

„12. ტყეების გატაცებისა და განადგურებისაგან დასაცავად გამოცემულ კანონთა და სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87 მუხლის თანახმად.

ამ შემთხვევაში კულტურებისა და მოზარდი ტყის დაზიანებით გამოწვეული ზარალი შეფასდება ტყის ხელოვნურ აღდგენაზე გასაწევი ხარჯის საშუალო ღირებულების მიხედვით, რაც გამოიანგარიშება წინა წლის აღსრულებითი კალკულაციის საფუძველზე, და ამას დაემატება სათანადო ხნის ნარგავთა ნამატის ორმაგი ღირებულება".

„16. გეგმის თანახმად გასაკაფად დანიშნული ტყის დამზადება მოხდება მხოლოდ სამეურნეო წესით".

„17. სატყეო ნიხრს შეიმუშავებს მთავარი საკურორტო სამმართველო და დაამტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებებით".

„26. საკურორტო ტყეები იყოფა სატყეო მეურნეობებად, რომლებიც სატყეო საქმის სპეციალისტების—სატყეო მეურნეობათა დირექტორების—გამგებლობაშია".

„27. სატყეო მეურნეობის თანამშრომელთა შტატს ამტკიცებს მთავარი საკურორტო სამმართველო არსებული წესების დაცვით, სათანადო სატყეო მეურნეობის დირექტორის წარდგენით".

II.

29 მუხლში სიტყვა „სატყეო" შეიცვალოს სიტყვებად: „სატყეო მეურნეობა".

III.

მე-15, 20, 21 და 28 მუხლები ამოიშალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1935 წ. დეკემბრის 4. № 99.
ტფილისი.

---

214. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დებულების მე-4 მუხლის დამატების შესახებ.

„ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მე-13 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 32, მუხ. 252), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დებულების მე-4 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 160) დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„კერძოდ, კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროები ინახავენ ობოლ ბავშვებს და დახმარებას უწევენ დროებით გაჭირვებაში ჩავარდნილ კოლმეურნეთა ბავშვებს“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. დეკემბრის 4. № 102/1643.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

215. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებასა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა, შენახვასა და გაყიდვასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

45.010 გაუქმებულ იქნას მე-3 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის მაისის 11-ის დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებასა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ.მე-16 №-ი, მუხ. 107).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. დეკემბრის 4. № 101/1645-ა.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

216. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

სახანძრო წესების დარღვევისათვის დასადები ჯარიმის შესახებ.

ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩაუტარებლობისათვის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად და სახანძრო დაცვის განსამტკიცებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახანძრო დაცვის წესების დარღვევა და სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ფულად ჯარიმას 200 მანეთამდე.

2. ჯარიმის დადება და გადახდევინება დაეკისროს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) ორგანოებს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქ. სსრ-ში—შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. **მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. **ყლენტი.**

1935 წ. ნოემბრის 26. № 97/1593-ა

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 291 №-ში 1935 წ. დეკემბრის 17.

ᲨᲠᲝᲛᲐ

217. დადგენილება ს.კ.ს.

შვიდსაათიან სამუშაო დღეზე საწარმოთა გადაყვანის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შვიდსაათიან სამუშაო დღეზე საწარმოთა გადაყვანის ნებას ჰრთავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენებისამებრ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას სათანადო ცენტრალურ უწყებასთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 10 დადგენილება „შვიდსაათიანი სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად მოწყობილი რესპუბლიკანური კომისიის გაუქმების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-7 №-ი, მუხ. 79) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ნოემბრის 21. № 1584.
ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

218. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სისტემის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებად ცნობილ იქნან შემდეგი ინსტიტუტები:

1) კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტი;
2) ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტი;
3) დედობისა და ბავშვობის დაცვის ინსტიტუტი;
4) ტროპიკულ ავადმყოფობათა ინსტიტუტი;
5) ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი;
6) ფსიქიატრული ინსტიტუტი;
7) სისხლის გადასხმის ინსტიტუტი;
8) საზოგადოებრივი კვების ინსტიტუტი;
9) სასანიტარო საჰიგიენო ინსტიტუტი;
10) სამრეწველო სანიტარიისა და შრომის ჰიგიენის ინსტიტუტი;
11) ტუბერკულოზური ინსტიტუტი;
12) დერმატოლოგიისა და ვენერიულ ავადმყოფობათა ინსტიტუტი;
13) ფუნქციონალურ-ნერვიულ ავადმყოფობათა ინსტიტუტი.
14) ყურის, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობათა ინსტიტუტი.

2. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული დებულება ცენტრალური სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს — დაამტკიცოს ცალკეულ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დებულებანი, რაც შემოშავებულ უნდა იქნას ამა დადგენილებით დამტკიცებული, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დებულების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებული შემდეგი დებულებანი:

ა) 1929 წ. დეკემბრის 10-ისა—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო, სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 1, მუხ. 8);

ბ) 1932 წ. აპრილის 23-ისა—ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 11, მუხ. 78);

გ) 1933 წ. ნოემბრის 4-ისა—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი, მ. ბაკაიას სახელობის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 26, მუხ. 346);

დ) 1935 წ. მაისის 23-ისა—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული, დედობისა და ბავშვობის დაცვის სახალმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 17, მუხ. 104).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1935 წ. ნოემბრის 3. № 1528.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე დაწესებულებანია და არსდებიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ.

2. თითოეული სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი შეიმუშავებს თავის დებულებას, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს მის საქმიანობას.

ამ დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ახორციელებს სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტების მუშაობის ხელმძღვანელობას და ხელმძღვანელობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ამოცანები და მიზნები.

4. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, წარმოადგენენ-რა ჯანმრთელობის ორგანოების სამეცნიერო-პრაქტიკულ ბაზას, გეგმიანად ატარებენ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას, ამზადებენ სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო მომუშავეთა კადრებს და ახორციელებენ პერიფერიულ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მეთოდურ ხელმძღვანელობას.

5. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები ყოველმხრივ შეისწავლიან და შეიმუშავებენ იმ პრობლემებს და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებს, რასაც სამედიცინო მეცნიერება აყენებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინაშე, მარქს-ლენინის მსოფლმხედველობის საფუძველზე ამა თუ იმ სამედიცინო სპეციალობის სამეცნიერო ძალების გაერთიანებით და საჭირო სამეცნიერო ძიებით და გამოკვლევებით, ცდებით, ექსპედიციებით, მასური მოკვლევებით და სხვა მისთ.

6. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები ახორციელებენ პედაგოგიურ მუშაობას და ექიმთა კადრების მომზადებას და გარდამზადებას სამეცნიერო-საკვლევო და პრაქტიკული საქმიანობისათვის მათ სპეციალობაში.

7. სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო კადრების მოსამზადებლად სახელმწიფო ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებთან არსდება ასპირანტურა; ასპირანტებად ჩარიცხვა და მათი სწავლება სწარმოებს თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „სამეცნიერო და სამეცნიერო-საპედაგოგო მომუშავეთა მომზადების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 3, მუხ. 29).

8. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების სამეცნიერო თანამშრომელთათვის მყარდება სამეცნიერო წოდებანი თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „სამეცნიერო ხარისხთა და წოდებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 3, მუხ. 30; 1935 წ. № 23, მუხ. 188):

ა) უმცროსი სამეცნიერო თანამშრომელი;

ბ) უფროსი სამეცნიერო თანამშრომელი;

გ) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ნამდვილი წევრი.

სამეცნიერო ხარისხი და წოდება მიენიჭება სამეცნიერო მომუშავეს აღნიშნული დებულების თანახმად.

9. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები ამყარებენ კავშირს და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას სამეცნიერო ორგანიზაციებთან (სამეცნიერო აკადემია, სრულიად საკავშირო ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტი და სხვ.), სამეცნიერო საზოგადოებებთან, სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებთან და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ დაწესებულებებთან, როგორც კავშირის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. მუშაობის შინაარსი.

10. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები ახორციელებენ თავის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას თავიანთი განყოფილებების ლაბორატორიებისა და დამხმარე დაწესებულებების მეშვეობით.

შენიშვნა. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დამხმარე დაწესებულებებში კლინიკური საწოლების რაოდენობას აწესებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ამა თუ იმ ინსტიტუტის სამეცნიერო-საკელევო მუშაობის მოცულობისა და მიზნების მიხედვით.

11. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები აწყობენ თავიანთი სპეციალობის საკითხების მიხედვით სამეცნიერო კონსულტაციას დაწესებულებათა და ცალკეულ პირთათვის, აწყობენ გამოკვლევებს და ექსპედიციებს, აგროვებენ სტატისტიკურ მასალას, ლიტერატურას (და აპარატურას) თავიანთი სპეციალობის მიხედვით, აწარმოებენ ექსპერიმენტალურ და საძიებლო მუშაობას თავიანთი სპეციალობის აპარატურის, ახალი ხელსაწყობისა და სამკურნალო პრეპარატების მოსამზადებლად, იძლევიან აგრეთვე დასკვნებს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოთხოვნით და დავალებებით, სამედიცინო საწარმოო პროცესების სფეროში ყოველგვარი გამოგონებისა და რაციონალიზაციის შესახებ.

შენიშვნა. ამა თუ იმ ხელსაწყოს ან აპარატის მასური ან სერიული გამოშვება შეიძლება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვით თითოეულ ცალკე შემთხვევაში.

12. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დავალებით, შეიმუშავებენ სტანდარტებს და მოსახლეობის მომსახურეობის ნორმებს თავიანთ სპეციალობაში.

13. სახელმწიფო ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს უფლება აქვთ თავიანთი სპეციალობის ფარგლებში წარადგინონ განსახილველად სპეციალურ ყრილობებზე სსრ კავშირში და საზღვარგარეთ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვით, მოხსენებები და ცნობები.

14. პერიფერიული ინსტიტუტების მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობისათვის სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები მოიწვევენ პერიფერიული ინსტიტუტების კონფერენციებს და თათბირებს მათი მუშაობის გეგმის შესათანხმებლად, აძლევენ მათ მეთოდურ მითითებებს სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში და აწყობენ ინსტრუქტაჟს მათი მუშაობის ყველა დარგში.

15. სამეცნიერო-საკვლევო და პედაგოგიურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად და სამეცნიერო გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის მიზნით სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები აწყობენ პედაგოგიურ შინაგან კონფერენციებს ინსტიტუტის დირექტორის ხელმძღვანელობით.

შენიშვნა. ანალოგიური სამეცნიერო თაობირები განყოფილებებში მოიწვევა სათანადო განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით. ამასთანავე, განყოფილებათა კონფერენციებისა და ინსტიტუტის საერთო კონფერენციების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს თვეში ეროს კონფერენციას.

16. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ბეჭედითი ორგანო ან სამეცნიერო ბიულეტენი სამეცნიერო ნაშრომების (სპეციალური და სამეცნიერო-პოპულარული) დასაბეჭდად; ისინი მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირისა და უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში; მათ უფლება აქვთ მოაწყონ კონკურსები და გასცენ პრემიები მათივე სპეციალობის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებისათვის.

17. ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს განყოფილების გამგის სისტემატური კონტროლის ქვეშ. საერთო კონტროლის გაწევა სამეცნიერო მუშაობისათვის ეკისრება ინსტიტუტის დირექტორს ან მის მოადგილეს.

18. სამეცნიერო თემატიკა პირველად განიხილება განყოფილებაში, შემდეგ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში და, დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ, წარედგინება ჯანმთრელობის სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ინსტიტუტის საწარმოო თემატიკური გეგმების დაუმტკიცებლად ამ გეგმების აღსრულების დაწყება არ შეიძლება.

IV. სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მმართველობა და სტრუქტურა.

19. ინსტიტუტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც განაგებს ინსტიტუტის სამეცნიერო, საწარმოო და საადმინისტრაციო-სამეურნეო მუშაობას და ერთპიროვნად პასუხისმგებელია ინსტიტუტის მთელი მუშაობისა და საფინანსო-მატერიალური სახსრისათვის.

20. დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე საორგანიზაციო-საადმინისტრაციო ნაწილისათვის.

შენიშვნა 1. დირექტორის თანაშემწედ სამეცნიერო ნაწილისათვის ითვლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განყოფილების გამგე.

შენიშვნა 2. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამუშაოს მოცულობისა და ინსტიტუტის მნიშვნელობის მიხედვით, არსდება მეორე მოადგილის თანამდებობა სამეცნიერო ნაწილისათვის.

21. ინსტიტუტის დირექტორს და მის მოადგილეს ჰნიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

22. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს ინსტიტუტის ყველა სამუშაოს ამა დებულების არგლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თავმჯდომარეობს ინსტიტუტის თათბირებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე; ამტკიცებს და ახორციელებს მათ დადგენილებებს;

გ) ჰნიშნავს და ითხოვს ინსტიტუტის თანამშრომლებს;

დ) განკარგავს ინსტიტუტის ყველა ფულად და მატერიალურ სახსარს და პასუხისმგებელია საბიუჯეტო დისციპლინის დაცვისათვის;

ე) სდებს ყოველგვარ განრიგებას და ხელშეკრულებას, რაც ინსტიტუტის ამოცანებს შეესაბამება;

ვ) ხსნის ინსტიტუტის სახელზე საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებს და ხელს აწერს ჩეკებს;

ზ) უდგენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს საწარმოო, საფინანსო და თემატიკურ გეგმებს, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვებს, სამეცნიერო საწარმოო ანგარიშებს და სხვა მასალას;

შენიშვნა. სამეცნიერო-სამედიცინო ანგარიშს ინსტიტუტი ადგენს წელიწადში ორჯერ: პირველ ნახევარწლისას—ივლისის 1-თვის—არა უგვიანეს ივლისის 15-ისა და მთელი საანგარიშო წლისას—დეკემბრის 15-თვის—არა უგვიანეს შემდეგი წლის იანვრის 15-ისა.

თ) განაგებს ინსტიტუტის სახელით ყველგვარ მიმომართვას სხვა დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან;

ი) ეწევა წარმომადგენლობას ინსტიტუტის სახელით ყველა დაწესებულებაში, მათ რიცხვში სასამართლო დაწესებულებებშიაც;

კ) აძლევს თავისი უფლებამოსილობის ფარგლებში რწმუნებულებას ინსტიტუტის თანამშრომელთ;

ლ) ამოწმებს ინსტიტუტის საგეგმო სამუშაოების შესრულებას და კონტროლს უწევს ზემდგომი ორგანოების განკარგულებათა შესრულებას.

23. ინსტიტუტის სამეცნიერო-პედაგოგიური და საგეგმო საკითხების განსახილველად დირექტორთან არსდება, როგორც სათათბირო ორგანო, სამეცნიერო საბჭო, რომელშიაც შედიან: განყოფილებათა გამგეები და ასპირანტების, ინტერნების, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) უჯრედის ადგილობრივი კომიტეტის და სამეცნიერო მომუშავეთა სექციის თითო წარმომადგენელი.

საბჭო მოწვეულ უნდა იქნას კვარტალში ერთხელ მაინც.

შენიშვნა. უკეთუ დირექტორსა და სამეცნიერო საბჭოს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, დირექტორი წარუდგენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს როგორც სამეცნიერო საბჭოს ოქმს, ისე თავის დასაბუთებულ აზრს საბჭოსთან შეუთანხმებლობის გამო.

სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ბიუჯეტი.

24. ინსტიტუტების ბიუჯეტი შესდგება იმ სახსრიდან, რაც ასიგნებულია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით, და ინსტიტუტის სპეციალური სახსრებიდან, რაც შეიქმნება სპეციალურ სახსართათვის არსებული დებულების წესით.

შენიშვნა. სპეციალური სახსრის შესაქმნელად ინსტიტუტებს ფინანსიერება აქვთ დადვან ხელშეკრულებანი სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საკვლევო სამუშაოების წარმოებისათვის იმ საკითხებზე, რაც ინსტიტუტის კომპენტენციაში შედის და გათვალისწინებულია გეგმებით. ხელშეკრულებანი წინასწარ დამტკიცებულ უნდა იქნას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ.

25. სახელმწიფო ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს აქვთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ტიპური მრგვალი ბეჭედი და შტამპი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1936 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე— 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე— 5 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1936 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამოძიებლებს	1

ფასი 40 კაპ.

გამოსცემელი საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 67. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1½ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 16/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XII; ტირაჟი 1.800

თავლ. რწმ. № 87022 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა შეკვ. № 1591